www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს სოფლის მეურნეობა 2021

(წინასწარი მონაცემები მემცენარეობის შესახებ)

15.04.2022

www.geostat.ge

15.04.2022

საქართველოს სოფლის მეურნეობა 2021 წელი

(წინასწარი მონაცემები მემცენარეობის შესახებ)

ერთწლიანი კულტურების წარმოება

წინასწარი მონაცემებით, 2021 წელს ხორბლის წარმოებამ 136.1 ათასი ტონა შეადგინა, რაც 32.9 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. ქერის წარმოება 28.4 პროცენტით გაიზარდა და 58.3 ათასი ტონა შეადგინა. სიმინდის წარმოება 233.0 ათასი ტონით განისაზღვრა, რაც 8.6 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე. კარტოფილის წარმოება 12.7 პროცენტით გაიზარდა და 235.1 ათასი ტონა შეადგინა. ამასთან, 2021 წლის განმავლობაში წარმოებულია 149.0 ათასი ტონა ბოსტნეული, რაც 15.4 პროცენტით ჩამორჩება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია ერთწლიანი კულტურების წარმოება 2016-2021 წლებში.

ხორბლის, ქერისა და სიმინდის წარმოება 2016-2021 წლებში

(ათასი ტონა)



*წინასწარი მონაცემები.

კარტოფილის და ბოსტნეული წარმოება 2016-2021 წლებში
(ათასი ტონა)



*წინასწარი მონაცემები.

2021 წლის წინასწარი მონაცემებით, წინა წელთან შედარებით სიმინდის და ბოსტნეულის საშუალო მოსავლიანობის მაჩვენებლები შემცირდა; გაიზარდა ხორბლის, ქერის და კარტოფილის საშუალო მოსავლიანობის მაჩვენებლები. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ხორბლის საშუალო მოსავლიანობამ 2.7 ტონა/ჰა შეადგინა, ქერის საშუალო მოსავლიანობამ - 2.1 ტონა/ჰა, სიმინდის - 3.0 ტონა/ჰა, კარტოფილის - 14.3 ტონა/ჰა, ბოსტნეულის - 10.3 ტონა/ჰა, აქედან პომიდვრის მოსავლიანობაა 13.8 ტონა/ჰა, კიტრის 12.7 ტონა/ჰა, ხახვის 8.0 ტონა/ჰა, ნივრის 3.0 ტონა/ჰა, კომბოსტოს საშუალო მოსავლიანობამ კი შეადგინა 19.9 ტონა ერთ ჰექტარზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია ერთწლიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა 2016-2021 წლებში.

15.04.2022

ხორბლის, ქერისა და სიმინდის საშუალო მოსავლიანობა 2016-2021 წლებში

(ტონა/ჰა)



*წინასწარი მონაცემები.

ხორბალი ქერი სიმინდი

კარტოფილის და ბოსტნეულის საშუალო მოსავლიანობა 2016-2021 წლებში

(ტონა/ჰა)



*წინასწარი მონაცემები.

კარტოფილი ბოსტნეული

15.04.2022

ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობები

წინასწარი მონაცემებით, 2021 წელს ერთწლიანი კულტურების ნათესმა ფართობმა 212.1 ათასი ჰექტარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 1.0 პროცენტით აღემატება. მათ შორის საშემოდგომო მარცვლოვანი კულტურების ნათესი ფართობია 64.3 ათასი ჰექტარი, ხოლო საგაზაფხულო კულტურების ნათესმა ფართობმა 147.8 ათასი ჰექტარი შეადგინა.

ერთწლიანი კულტურების ნათეს ფართობში ყველაზე დიდი წილი სიმინდს უკავია, რომლის ნათესმა ფართობმა 79.4 ათასი ჰექტარი შეადგინა. ხორბლის ნათესი ფართობი 50.6 ათასი ჰექტარი იყო, ქერის - 28.1 ათასი ჰექტარი, კარტოფილის - 16.4 ათასი ჰექტარი, ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების - 11.9 ათასი ჰექტარი, ბოსტნეულის - 11.5 ათასი ჰექტარი, ხოლო დანარჩენი კულტურების ჯამური ნათესი ფართობი 14.2 ათას ჰექტარს შეადგენდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობების სტრუქტურა კულტურების მიხედვით.

ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობების სტრუქტურა,
2021* წელი



*წინასწარი მონაცემები.

15.04.2022

მრავალწლოვანი კულტურების წარმოება

წინასწარი მონაცემებით, 2021 წელს ქვეყანაში წარმოებულია 85.6 ათასი ტონა თესლოვანი ხილი, რაც 16.2 პროცენტით ჩამორჩება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. საანგარიშო პერიოდში წარმოებულია ასევე 57.4 ათასი ტონა კურკოვანი ხილი (წინა წელთან შედარებით 5.4 პროცენტით ნაკლებია), 53.8 ათასი ტონა კაკლოვანი ხილი (31.9 პროცენტით მეტი), 23.0 ათასი ტონა სუბტროპიკული ხილი (3.1 პროცენტით მეტი), 61.5 ათასი ტონა ციტრუსი (8.3 პროცენტით მეტია).

გარდა ზემოთქმულისა აღსანიშნავია, რომ 2021 წელს წარმოებულია 269.2 ათასი ტონა ყურძენი, რაც 15.1 პროცენტით ჩამორჩება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მრავალწლოვანი კულტურების წარმოება 2016-2021 წლებში.

მრავალწლოვანი კულტურების წარმოება 2016-2021 წლებში

(ათასი ტონა)



*წინასწარი მონაცემები.

თესლოვანი, კურკოვანი, კაკლოვანი და სუბტროპიკული ხილის წარმოება 2016-2021 წლებში

(ათასი ტონა)



*წინასწარი მონაცემები.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

2021 წლის საბოლოო მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2022 წლის 15 ივნისს.

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ: (+995 32) 236 72 10 (500), E-mail: gsanadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge